საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარი კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500 ათასი მან. უკანასკნელზე 300.000 მან. განცხადება 10.000 ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6. ფოსტის ყუთი № 190. ტელეფონი 10—34.

№ 376

შაბათი, დეკემბრის 23

1922 წ.

გაზეთის ფასი ყველგან 5.000 მ.

● რუსთაველის თეატრი ●

შაბათს 23 დეკემბერს

1

უბედურება

2

ირინეს ბედნიერება

1—1

შაბათს, 23 დეკემბერს საღამოს 6 საათზე

აღმასკომის ბინაზე დანიშნულია ქალაქის აღმასკომის მორიგი სხდომა.

ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

295 3—3

მდივანი ხუნდაძე

ორშაბათს, 25 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში შესდგება ქალ. ტფილისის საბჭოს პლენუმის

მორიგი სხდომა

ყველა ამხანაგები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თავის დროზე.

მდივანი ხუნდაძე

## სახელმწიფო აპარატის გამარტივება

სახელმწიფო აპარატი ჯერ კიდევ არ არის გამარტივებული, დაწესებულებებში ადგილი აქვს მეტად რთულ საკანცელარიო ოპერაციებს, რასაც ქმნის შტატების სიფართოვე და სიდიდე.

ასეთ პირობებში შეუძლებელია თავი დავაღწიოთ ბიუროკრატიზმსა და კანცელიარულ ფორმალიზმს. მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრებისათვის და თვით სახელმწიფოს აპარატის ნორმალობისათვის შეუძლებელია წესიერი პირობების შექმნა არსებული მდგომარეობით.

საბჭოთა სისტემა გარდამავალი პერიოდის უფლებრივი ინსტიტუცია, რომელიც ელასტიურობითა და სიმარტივით უნდა ხასიათდებოდეს. გართულებული სამმართველო აპარატები აფერხებს, საქმეთა დაჩქარებით მსვლელობას, რაც ქმნის საზოგადოებაში სამართლიან უკმაყოფილებას.

ამიტომ საჭიროა არა მარტო პროფესიონალური გაწმენდის ჩატარება, არამედ საჭიროა კიდევ მეტი, შტატების მინიმუმამდე შემოკლება, თვით დაწესებულებათა ფუნქციების შეერთება, სადაც ეს შესაძლებელია.

ამ ზომამ ძალთა და საშუალებათა ეკონომიზაცია უნდა მოგვცეს ყოველ მხრივ.

არსებული ხელფასი უკვე ჩამორჩა საარსებო მინიმუმის ნორმას. ამის მიზეზები მეტად რთულია და ამავე დროს ყველასათვის ცნობილი. ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ არსებული ხელფასი უკან ჩამორჩა პირველი მოთხოვნილების საგანთა ბაზრის ფასებს. შტატების შემოკლება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს სატარიფო პოლიტიკის გადასინჯვისათვის და ხელფასის გადიდებისათვის დღევანდელი ხელფასის ფონდის საშუალებით.

ამას გარდა აღსანიშნავია საბინაო კრიზისი. დღეს ტფილისი ამ მხრივ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. შტატების შემოკლება და დაწესებულებათა ფუნქციების შეთავსება საშუალებებს მოგვცემს საბინაო ფონდის შექმნისათვის, რომელიც ოდნავად მაინც შეამსუბუქებს საბინაო კრიზისის სიმწვავეს.

გარდა ამისა მხედველობაშია მისაღები ერთი უმთავრესი გარემოება. დღეს დაწესებულებათა უმრავლესობა დენაციონალიზაციის პროცესს განიცდის. საქართველოს დედა-ქალაქის დაწესებულებანი უმთავრესად რუსული ენის საშუალებით აწარმოებენ მიმდინარე მუშაობას, რაც ანორმალურ ხასიათს აძლევს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

ზედმეტია ლაპარაკი დღეს ენის უფლების შესახებ. ვერავინ ვერ გაბედავს მის უარყოფას.

ენის საკითხია დღეს თავიდან მოუშორებელი, რომელიც ქართული ენის უფლებების აღდგენაში მდგომარეობს.

საბჭოთა წყობილების დამყარებისას და შემდეგაც დაწესებულებებში გამრავლდა ქართული ენის არა მცოდნეთა კადრი და ამით თავისთავად დაირღვა კონსტიტუციის მიერ აღიარებული ქართული ენის სახელმწიფოებრიობა.

ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთათვის სავალდებულო უნდა გახდეს ქართულის ცოდნა.

ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი: მშრომელთა ხელისუფლება შტატს გარეშე დარჩენილთათვის უნდა ეძებდეს ახალ სფეროს, რომ ერთი მხრით არსებობის საშუალება მიეცეს მუშა ხელს, ხოლო მეორე მხრით მოხდეს მათი გამოყენება სამეურნეო მიზნით. თუ კაპიტალისტებს კრიზისების დროს შეეძლოთ და შეუძლიათ ქუჩაში გადასროლა ასეული სულების და დამშეულთა და უმუშევართა კადრის შექმნა, მშრომელთა ხელისუფლება ამას ვერ დაუშვებს და იგი მოვალეა საარსებო საშუალებანი მისცეს შტატს გარეშე დარჩენილ მუშებს.

რა თქმა უნდა ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს სოციალური დაზღვევა ან უმუშევართა დახმარება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით სამეურნეო დაწესებულებათა გაფართოვება. ამ მხრივ განსაკუთრებული ასპარეზი არის გადაშლილი კოოპერაციის სფეროში. კოოპერაციის აღორძინება მორიგი საკითხია დღეს ჩვენთვის. ჩვენში კოოპერაციის კრიზისი დაძლეულ უნდა იქნეს. მუშათა კოოპერატივებმა უნდა შესძლოს კოოპერატიული მოძრაობის კრიზისის დაძლევა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საწარმოვო კოოპერაციების ფართოდ გავრცელება. ამისათვის ობიექტიური პირობები საკმაოდ შეიძლება ჩაითვალოს. ამის შესახებ აქ არ ვილაპარაკებთ, რადგან წინეთ უფრო სპეციალურად გვქონდა საუბარი ამ საკითხის ირგვლივ ვიტყვით მხოლოდ, რომ შტატების შემოკლებით შექმნილ უმუშევართა კონტიგენტი უნდა გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი წესით მოწყობილ მეურნეობის სფეროში, რომლის უმთავრესი ასპარეზი შეიძლება იქნეს კოოპერაცია.

ყოველივე ზემოდ აღნიშნული გადაუდებელი საკითხების კატეგორიაში არის ჩასარიცხი.

ამ მხრივ საჭიროა მუშაობის ფართოდ დაყენება. სერიოზული და რადიკალური ნაბიჯების გადადგმა და გარკვეული სისტემისა და მიზნის მიხედვით ძალთა გადაჯგუფება და მისი ეკონომიზაცია.

სახელმწიფო დაწესებულებანი არ უნდა დარჩეს ფილანტროპიულ საზოგადოებად და უმუშევართა თავშესაფარად. ყველა ძალა თავის ადგილზე უნდა მოვიხმაროთ ისე და იმ გვარად, რომ შესაძლებელი გახდეს უმუშევრობის დაძლევაც და ამავე დროს მაქსიმუმი სარგებლიანობის მიღებაც.

## სასურსათო გადასახადის კამპანია

### სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ათ მაზრაში დეკემბრის 20 სთვის წრევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში შეგროვილია 572.687 ხორბლეულის ერთეული, ანუ 99,6 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად შესაგროვებელია კიდევ სულ 2,046 ფუთი ანუ 0,4 პროცენტი. დუშეთის მაზრას შესაგროვებელი დარჩა 446 ფუთი, ხოლო თიანეთისას 1600 ფუთი.

## ნარკვევი

### საერთაშორისო ფაშიზმი.

მოსკოვის „პრავდა“ ეხება პოლონეთის ფაშისტების მოძრაობას და მის ხასიათს და ანალიზს უკეთებს მსოფლიო ფაშისტურ მოძრაობას. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით:

ამ ჟამად, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, პოლონეთი გახდა ფაშისტური გამოსვლების არენათ. თავისუფლად მონავარდე მრბეველები სხვათა შორის თავს დაესხენ „პოლონეთის სოციალისტური პარტიის“ (პილსუდსკის პარტია) გაზეთ „რაბოტნიკს“ და დაარბიეს ის. ეს ისტორიული ნემეზიდაა.

ყოველგან და ყოველთვის ფაშიზმი არის შედეგი წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ღალატისა რევოლიუციონურ მოძრაობისადმი. პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია ათამაშებს ბნელ, ჩამორჩენილ და რეაქციონურ ელემენტებს, რომლებიც ხანდახან მის წინააღმდეგაც კი მიდიან. ასეთია ბედი არა მარტო მსხვილბურჟუაზიულ ლიბერალიზმისა, არამედ წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიისაც, მათ რიცხვში შემთანხმებელი სოციალიზმისა. იტალიაში ფაშიზმი მოღონიერდა სოციალისტური პარტიის და შემთანხმებელი პროფკავშირების მოღალატური საქციელის შემდეგ 1920 წ. იტალიელ მუშების მიერ ფაბრიკებისა და ქარხნების რევოლიუციონურად დაპატრონების დროს. გერმანიაში ფაშიზმი („ორგეში“, „კონსული“ და სხ.) განმტკიცდა კოალიციის ზურგს უკან, რომელშიც სოციალ-გამცემლები დაუძმობილდენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ასე ხდება და ასე მოხდება შემდეგშიაც.

ფაშიზმი საერთაშორისო მოვლენად ხდება. ფაშისტურ გამოსვლებსა აქვთ ადგილი ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში: იტალიაშიც, გერმანიაშიც, პოლონეთშიც და აგრეთვე შვეციაში, ლატვიაში, ფინლიანდიაში და ბოლოს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთ. შტატებში. ელემენტები ამ „პოგრომული“ მოძრაობისათვის ყველგან და ყოველთვის არსებობდა. მხოლოდ ახლა იღებენ ისინი ორგანიზაციულ ფორმას და მათი გამოსვლები ხდება გამომუშავებული გეგმის თანახმად. რომ საჭირო ყოფილიყო იმის დამტკიცება, რომ კაპიტალისტური საზოგადოება აშკარა სამოქალაქო ბრძოლის ზონაში შევიდა,—ფაშიზმი ამის საუკეთესო ილუსტრაცია და დამამტკიცებელი იქნებოდა.

მისი არსება მასში მდგომარეობს, რომ გაბატონებული ბურჟუაზიული ჯგუფები ან უფრო რეაქციონური ჯგუფები აწყობენ გამოსვლებს, ნაწილობრივ ჯარსა და პოლიციასთან ერთად და ხან კიდევ მათ და დამოუკიდებლად. ეს ორგანიზაციული ძალები ბურჟუაზიული საზოგადოებისა, ყველა შემთხვევებში, მაშინაც კი როდესაც ოპოზიციონერებად გამოდიან, აქტიურ დახმარებას უწევენ მას. მუდმივი ჯარის ოფიცერთა კორპუსი და პოლიცია გრძნობს შინაგან ნათესაობის ფაშიზმისადმი.

ფაშისტებმა იტალიაში ძალა-უფლება ჩაიგდეს იმის გამო, რომ ჯარმა და პოლიციამ არა თუ გაუწია მას წინააღმდეგობა, არამედ გზა გასწმინდა მისთვის, დაარბია მუშათა ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ ყაჩაღურ ბანდებისადმი. საფრანგეთში როიალისტების დიდი ბანდები და „შტრეიკბეხერული“ ორგანიზაციები „სამოქალაქო გვარდიისა“ სარგებლობდენ მთავრობის აშკარა სიმპატიებითა და დახმარებით. მიუცკორებს ფინლიანდიაში ასეთივე ადგილი უჭირავთ. უნგრეთზე ლაპარაკიც მეტია: აქ ფაშისტები ფაქტიურათ იმყოფებიან ძალაუფლებასთან. გერმანიაში ფაშისტური ბანდები სარგებლობენ ოფიცრებისა და „ჩინოვნიკობის“ სრული თანაგრძნობით. დაბოლოს პოლონეთში, სადაც ახლა ხულიგანური ბანდები „პოგრომებს“ ახდენენ, პოლიცია და ჯარი იჩენს მათდამი სავსებით კეთილ განწყობილებას.

ამიტომ ნათელია, სადაც შეიარაღებული ძალა და რეპრესიული აპარატი ბურჟუაზიის ხელში არის, მეტად კარგი ნიადაგია ფაშიზმის აყვავებისათვის. რეაქციონური ბურჟუაზია მას ამუშავებს მაშინ, როდესაც ეს მისთვის საჭირო ხდება. ამრიგად ცხადია, რომ ერთადერთი საშუალება ფაშიზმისთვის ნიადაგის გამოსაცლელად ეს ის არის, რომ შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ორგანიზაციული ძალები საზოგადოებისა ბურჟუაზიის ხელში არ იყოს. ასეთი პირობები მხოლოდ საბჭოთა რუსეთშია, სადაც ძალა-უფლება მშრომელ მასსებს ეკუთვნით. ყველა იმ ძალებმა, რომელთაც საშუალება ქონდათ შეეცვალათ შემადგენლობა და ხასიათი შეიარაღებულ ძალებისა, ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყვეს ფაშიზს. ამიტომ ისინი ველარ იტყვიან საყვედურს, რომ მათ ფრთებს ქვეშ გაზრდილი ფაშიზმი მათსავე წინააღმდეგ იქნეს მიმართული. შეიდემანს აღარ დასჭირდება იმაზე ჩივილი, რომ მას თავს დაესხენ ფაშისტები; პილსუდსკისაც ასევე ნაკლებ ეკუთვნის აღშფოთება მათი გაზეთის დარბევის გამო.

მაგრამ გარდა ამისა ფაშიზმი უპირველეს ყოვლისა რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომ მუშათა კლასისათვის ფაშიზმი უდიდესი მტერი არის და ფაშიზმისათვის უდიდესი მტერი რევოლიუციონური პროლეტარიატია. ჩვენს შორის მშვიდობიანობასა და შეთანხმებას ადგილი არ ექნება. ერთმა უნდა მოკლას მეორე. და არ არის არავითარი ეჭვი მასში, რომ არა ფაშიზმმა უნდა დასძლიოს პროლეტარიატის მოძრაობა; ის უკანასკნელი სულთბრძოლაა ბურჟუაზიისა სიკვდილის წინ.

## ბურჟუაზიის მონები

ევროპის ცხოვრების ეკრანზე ამ ჟამად მეტად რთული მოვლენებია ასახული. განსაკუთრებით ანტანტის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა წარმოადგენს გართულებულ მომენტის მთელ შინაარს. იშვიათად ახსოვს ბურჟუაზიულ მსოფლიოს ისეთი კრიზისი, რომელსაც ადგილი აქვს დღეს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა რიგებში.

ევროპაში სრულიად საწინააღმდეგო სურათებია გადაშლილი. კაპიტალისტური სახელმწიფოები ერთ და იმავე დროს ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოლიუსზეა დაყრდნობილი. ერთის მხრით—წარმოების კაპიტალისტური სისტემის სრული უვარგისობის გამოაშკარავება ეკონომიურად აყვავების საქმეში, კაპიტალიზმის მექანიზმის თანდათანობითი მოშლა, ხოლო მეორეს მხრით—ბურჟუაზიული ხელისუფლების პოლიტიკურად მოღონიერება პოლიტიკური რეაქციის გაშლა—განვითარება ფართო მასშტაბით,—აი ერთმანეთის უარისმყოფელი ორი მომენტი, არსებული კაპიტალისტურ სამყაროს შინასკნელში.

ანტანტის ეკონომიური დეგენარაცია საკმაოდ ნათელი ფაქტია. ომმა გაანადგურა ევროპის ძველი კულტურა. მისი განახლება ვერ შესძლო ბურჟუაზიულმა რეჟიმმა კაპიტალისტურის გზით და მეთოდით. ამას დაუმატეთ კიდევ მსოფლიო ეკონომიურ ჰეგემონიის—ამერიკის კოლონიალი ტაქტიკა, დაქანცულ, „ჭაღარა“ ევროპისაკენ მიმართული. შეერთებული შტატების უახლოესი იდეალია მთელი ევროპის კონტინენტის თავის რკინის ბრჭყალებში მოქცევა. ევროპის საკუთარ ფაბრიკატების ბაზრად, საექსპლოატაციო საგნად, ახალშენად გადაქცევა წარმოადგენს ამერიკის ბურჟუაზიის პრაქტიკულ მიზანს. შეერთებული შტატების ოქროები არ აძლევს მოსვენებას ევროპის ქვეყნებს. ვალების მუხრუჭი ახრჩობს „კულტურულ“ ანტანტას.

ევროპის ეკონომიურ კრიზისს აორკეცებს და აღრმავებს კოლონიალ ქვეყნებში შექმნილი მდგომარეობა. ამ მხრით ყველაზე საბედისწეროა და სავალალო ანტანტის მეთაურის—ინგლისის ბედი. ახალშენებში ეროვნული წარმოება წამოდგა საკუთარ ფეხებზე. იქ ინდუსტრიის ხერხემალი უკვე გაკაჟდა. ახალშენები არ საჭიროებენ უცხო კაპიტალის ამოქმედებას. ინდოეთმა პროტესტი განუცხადა ყველაზე ადრე დიდი ბრიტანეთის ფაბრიკა-ქარხნებს იგი არ საჭიროებს უცხოეთის ფაბრიკატებს. პირიქით, ზოგ დარგში სასტიკ მეტოქეობას უწევს ევროპის ინდუსტრიალ ნაწარმოვებს.

კოლონიალ ქვეყნების ეკონომიური ემანსიპაცია საბედისწერო ჩიხში აყენებს დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმს. ანტანტის წინაშე ლოღიკური რკალია შექმნილი. კაპიტალის მოქმედების არე მეტად შეიზღუდა. ბაზრის ტერიტორია მაქსიმალურად შემცირდა. იგი ვერ სცილდება ევროპის ფარგლებს. ამით აიხსნება უმთავრესად ანტანტის ნაწარმოებების ექსპორტის თითქმის ნულამდე დაყვანა. ევროპიდან მეტად უმნიშვნელო რაოდენობის საქონელი იზიდება მსოფლიოს დანარჩენ ნაწილებში. ეგ მოვლენა ძალზე ზღუდავს ბურჟუაზიულ ანტანტის განუსაზღვრელ სულისკვეთებას. ევროპის კაპიტალიზმი საკუთარ ტაფაზე იხრაკება. ამაშია გადამწყვეტ მომენტის მთელი სიმძიმე.

კაპიტალისტური წარმოების უმთავრესი პირობა ბაზარია, ფართე ტერიტორიალი მოხაზულობაში მოქცეული. ბაზრის კარები კი ევროპისათვის დახშულია. მაშასადამე, წარმოების ტემპი უნდა შენელდეს. ეს იწვევს თავის მხრით ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის შეფერხებას. ყოველივე ამას ლოღიკურად მოსდევს ბურჟუაზიული ქვეყნის მთავარი საშინელება—უმუშევრობა, ლუმპენ პროლეტართა ლეგიონების გაჩენა. შარშან კერძოთ ინგლისში უმუშევართა რიცხვი გრანდიოზ რაოდენობას წარმოადგენდა. ამ ჟამადაც უმუშევრობის ბასრი მახვილი თავს დასტრიალებს ბურჟუაზიულ ანტანტის მესვეურებს.

რას გვიკარნახებს ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებული ვითარება? უსათუოდ ერთს: კაპიტალისტური გზით შეუძლებელია ევროპის მეურნეობის აღდგენა. ბურჟუაზიას არ ძალუძს ისტორიულ ცხოვრების ნორმალ კალაპოტში ჩაყენება. კაპიტალისტური რეჟიმი მიექანება დაღუპვისაკენ. სამუდამოდ ირღვევა ბურჟუაზიულ რეჟიმის ეკონომიური ძლიერება. კაპიტალიზმის დეგენერაცია რეალობაა. ბურჟუაზიულ კულტურის დამსხვრევა-დასამარება ისტორიულ მსვლელობის მორიგი საკითხია.

არსებითად საწინააღმდეგო ზოლებია გავლებული ევროპის პოლიტიკურ ვითარებაში. ეკონომიურად გაპარტახებული ანტანტა აღწევს პოლიტიკურ გაძლიე-

რების კალმინაციურ წერტილს. მართალია, ანტანტის პოლიტიკური კრიზისი არაა ოცნების საგანი.

ბურჟუაზიულ ხელისუფლების გაძლიერება პოლიტიკურად უკვე რეალობაა. მისი ილიუსტრაცია ფაშიზმია. ანტანტის შემადგენელი ერთეული—იტალია აპირებს ბურჟუაზიულ სამყაროს უკანასკნელ სიტყვის თქმას. ფაშიზმი ვითარდება. იგი მოედო თითქმის ევროპის უდიდეს ნაწილს. მისი სამსოფლიო პრეტენზიები ყველასათვის აშკარაა.

ფაშიზმი უსაშინელესი მოვლენაა, მუშათა კლასის საზიანოდ გაჩენილი. იგი განსახიერებაა ბურჟუაზიულ რეაქციის. მაში მოცემულია კაპიტალისტთა კლასის პოლიტიკური ძლიერების უკანასკნელი სტადია.

მუსოლინიზმის შინაარსი ყველასათვის მარტივია. მუშათა კლასის ხელფასის შემცირება სამუშაო დღის გადიდებით—აი მისი კვინტ-ესენცია. ისტორიულად, ეს დებულება იყო ბურჟუაზიის გაუმაძღრობის და მუშათა კლასისადმი შურისძიების გამოსავალი წერტილი. ფაშიზმი აგრარიების ინტერესებსაც შეიცავს. გაბატონებულ კლასების სულისკვეთება მისი ძირითადი საფუძველია.

ბურჟუაზიის პოლიტიკური რეაქცია რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაშე აყენებს პრობლემათა რიგებს. მთავარი ამოცანა მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შექმნაა.

რევოლიუციონური ენტუზიაზმის შეერთებული ძალა უნდა დაუპირისპირდეს გაერთიანებულ ბურჟუაზიულ რეაქციას. ამ მხრივ ისტორიული ნაბიჯი გადასდგა კომინტერნმა. მან წამოაყენა მშრომელ მასსების გაერთიანების პლატფორმა გაცილებით ადრე ფაშისტურ მოძრაობამდე. ცხადია, არასოდეს არ ყოფილა გაერთიანებულ რევოლიუციონურ რიგების საჭიროება იმდენად აუცილებელი, როგორიც ეს არის დღეს. მომენტი მეტად ხელსაყრელია მუშათა კლასისათვის. ბურჟუაზიის პოლიტიკური რეაქცია არაა გარდუვალი დაბრკოლება. კაპიტალიზმის დეგენერაცია ბუნებრივი პირობაა გადამწყვეტ შეტევაზე გადასასვლელად. ეკონომიური კრიზისი და პროლეტარიატის რევოლიუციონური აქტივიზმი ბურჟუაზიის ტახტის დამსხვრევის მიუცილებელი საწინდარია.

ამრიგად, თანამედროვე მომენტი სოციალისტურ მიმდინარეობებს გარკვეულ რასმეს ავალებს: ბურჟუაზიულ რეაქციის წინაალმდეგ ძალების მობილიზაციას, მთლიანი ხაზით შეტევაზე გადასვლას. მდგომარეობის ფორმალი სახე თითქოსდა ამართლებს ამ ზოგადი ხასიათის მოვალეობის შეგნებას. ამ ჟამად ევროპის კონტინენტზე ადგილი აქვს სოციალ-დემოკრატიულ ფრთებისა და ინტერნაციონალების გაერთიანებას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია სამ მიმდინარეობად იყო დანაწილებული: ცენტრი—კაუცკის მეთაურობით, დამოუკიდებელნი—ჰილფერდინგის ბელადობით და „დამოკიდებულნი“—ებერტ-ბერშტეინის წინამძღოლობით. პირველსა და უკანასკნელის ნავთსაყუდელს შეადგენდა მეორე ინტერნაციონალი, დამოუკიდებლების—2 ნახ. ინტერნაციონალი. გარეგნულად სოც.-დემოკრატიულ ფრთებს შუა „სასტიკი“ ბრძოლა სწარმოებდა. 2 ინტერნაციონალს დიდად ანსხვავებდნენ 2 ნახ. ინტერნაციონალისაგან. არსებითად მათ შუა არსებული განსხვავება არ იყო პრინციპიალი მნიშვნელობის მქონე. არც ერთი ინტერნაციონალი არ იზიარებდა მუშათა მასების რევოლიუციონურ ბრძოლას სოციალიზმისათვის საბჭოთა სისტემის გზით. არც ერთი ფრთა არ იდგა საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე. მათი ძირითადი პლატფორმა ერთი იყო. ასე რომ ამ შემთხვევაში 2 უდრის 2 ნახევარს, რაც ეწინააღმდეგებოდა ჩვეულებრივ არითმეტიკას.

არითმეტიკულ ულოღიკობას ბოლო მოეღო.

მოხდა ინტერნაციონალების გაერთიანება.

2 ნახ. ინტერნაციონალმა ხელი აიღო თავის პოზიციაზე. მან ფარ-ხმალი დაჰყარა მეორე ინტერნაციონალის წინაშე. კაუცკიმ დაამარცხა ჰილფერდინგი. რეფორმისტული იდეოლოგია მთლიან სახეში გამოიქანდაკა. 2 ინტ. პირციპებზე შენდება სოც.-დემოკრატიული მოძრაობა.

არსებითად ინტერნაციონალების გაერთიანება არ ემსახურება ბურჟუაზიულ ქვეყნის წინაალმდეგ აქტიურ ბრძოლის საქმეს. პირიქით, იგი გაერთიანება უფრო ხელს უწყობს კაპიტალიზმის ბჭეების გავანიერებას. ამას ამტკიცებს 2 ინტ. პიონერების მიერ აღებული გეზი თანამედროვე საერთაშორისო პირობებში. როგორც ცნობილია, 2 ინტ. ძირითადი საფუძვლები მარქსიზმს ემყარება. რეფორმისტული მარქსიზმი შეადგენს გაერთიანებულ რეფორმიზმის ყავარჯენს.

რა არის საერთაშორისო მენშევიზმის თეორია და პრაქტიკა? ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცება, კაპიტალიზმის რესტავრაცია. მენშევიკ მარტოვმა თავისებურად „დაასაბუთა“ მისი აუცილებელი საჭიროება. „კულტურა„ გაანადგურა ომმა. უნდა აღსდგეს იგი. პროლეტარიატი ვერ შესძლებს მის განახლებას. ამისთვის ბურჟუაზიაა მოწოდებული. ასეთია მენშევიკური არგუმენტაცია. აქეთკენაა მიმართული გაერთიანებულთა სვლიგეზი. ცხადზე უცხადესია: მენშევიზმისათვის კაპიტალიზმი არსებითად ლოღიკურ ჯატეგორიათ იქცა. კაპიტალიზმის რესტავრაცია ლოღიკურად მოითხოვს იმპერიალისტურ პოლიტიკის რესტავრაციასაც. კვლავ იმპერიალისტური ომები. „კულტურის“ განადგურება. მისი აღორძინება, ალბათ, კვლავ ბურჟუაზიულის გზით და ასე დაუსრულებლად. ამას ემსახურება გაერთიანებული რეფორმიზმი ინტერნაციონალების სახით. აი ერთი უარყოფითი მხარე ოპორტიუნისტულ მიმდინარეობათა გაერთიანების რეზულტატების.

შემდეგ, „გაერთიანებული ფრონტი“ გარკვეულ რასმე ჰგულისგმობს. სახელდობრ: საბჭოთა სისტემის. მშრომელთა კლასის დიქტატურის წინაალმდეგ გაშმაგებულ ბრძოლას. კონკრეტად—კომპარტიის გავლენის მოსპობას. ევროპის მუშათა მასსებზე. ეგ მიზანი წითელი ზოლივითაა გავლებული გაერთიანებულთა“ აზროვნებაში. სწორედ ამაშია ჩაქსოვილი ანტანტის ბურჟუაზიის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესები. აქ შეუძლებელია ბურჟუაზიასა და „გაერთიანებულთ“ შუა სადემარკაციო ხაზის“ გაყვანა. მაშასადამე, „გაერთიანებულნი“ არსებითად გაერთიანდნენ არა მუშათა კლასის საკეთილდღეოდ. მათი პრაქტიკული საქმიანობა გუნდრუკს უკმევს კაპიტალიზმს.

2 და ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანებით ბურჟუაზიამ გაიძლიერა მუშათა კლასის წინაალმდეგ საბრძოლველი ენერგია.

გაერთიანებული რეფორმისტული ბანაკი ბუნებრივად ბურჟუაზიულ რკალში მოექცა.

კაპიტალიზმის მაგნატები მას გამოიყენებენ პროლეტარიატთან ბრძოლაში საუკეთესო ხელსაწყოთ. ამის მთავარი მიზეზი ყვითელ ინტერნაციონალის გეზში მარხია. „გაერთიანებულნს“ ვერ აღმოაჩენენ ახალ ამერიკას, გადაყვებიან არისტოტელეს „ოქროს საშუალოს“ ძიებას. დღეს მსოფლიო ორ ნაწილადაა გაპობილი. მჩაგვრელნი და დაჩაგრულნი ებრძვიან ერთმანეთს. შეუძლებელია შუაზე გაჩერება. ან ერთ კოალიცია, ან მეორე.

დიახ, სოც.-დემოკრატიულ ფრთების და ინტერნაციონალების გაერთიანება მეტად მსხვილი მოვლენა მუშათა მოძრაობაში, მაგრამ სამწუხაროდ, ეგ მოვლენა არ არის უკუფენა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძლიერების. გაერთიანებულ ინტერციონალის პიონერები არსებითად კაპიტალის მსახურის როლში გამოდიან. მათ იკისრეს კაპიტალის იანიჩარობა. ხელს უწყობენ ბურჟუაზიის გამოსვლას კრიტიკულ ხლართიდან. დათვურ სამსახურს უწევენ საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს. სოციალისტური მოძრაობის ისტორია შავ განაჩენს გამოუტანს [illegible] ტირებს...

[illegible]

# უცხოეთი

**პოლონეთში.**

**მოსკოვი.** 22 დეკემბერი. პოლონეთის სახალხო კრებამ (სენატის და სეიმის დეპუტატებმა) 298 ხმის უმრავლესობით აირჩია პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ვოიცეხოვსკი. ნაციონალ-დემოკრატების კანდიდატმა მორავსკიმ მიიღო 221 ხმა.

**ამერიკა და გერმანია**

**მოსკოვი** 22 დეკემბერი. გავრცელებულ ხმების გამო თითქოს ამერიკა აპირობს ევროპის საქმეებში ჩარევას, სენატორმა ბორმა მიმართა პრეზიდენტს შემდეგი განცხადებით: „ამერიკას არ შეუძლია ჩაერიოს ევროპის საქმეებში, სანამ უარს არ იტყვის იმპერიალიზმის, მილიტარიზმის და ნავთის დიპლომატიის პოლიტიკაზე, სანამ არ შეამცირებს რეპარაციებს და სანამ არ იცნობს რუსეთს“.

მორგანმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეუძლებელია გერმანიას მიეცეს სესხი რეპარაციების საკითხების მოწესრიგებამდე.

**ტურინში მომხდარ ამბების გამო**

**მოსკოვი** 22 დეკემბერი. ტურინში მოხდა შეიარაღებული შეტაკება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის, შეტაკების დროს 16 კაცი მოკლულია და 50 კაცი დაჭრილი. გაიგო თუ არა მომხდარ ამბების შესახებ, ფაშისტების ტურინის განყოფილების უფროსმა გამოაცხადა ყველა მის განკარგულებაში მყოფ ძალების მობილიზაცია, რის გამო ქალაქი აღმოჩნდა ფაშისტების რაზმების ხელში. უკანასკნელებმა ალყა შემოარტყეს შრომის ბირჟას, აიძულეს იქ მყოფი 5 კომუნისტი დანებებულიყვენ, გადასწვეს ბირჟის შენობა, გაანადგურეს და გადასწვეს „ორდინენუოვოს“ რედაქცია და ორი კომუნისტური კლუბი.

**რურის ოლქი**

**მოსკოვი** 22 დეკემბერი. ინგლისის სამხედრო სამინისტროს ყოველ კვირეულ ორგანოში გამოქვეყნებულია წერილი, რომელშიაც ხაზგასმულია, რომ ინგლისს არ შეუძლია დაუშვას საფრანგეთის კონტროლი, რურის ოლქში, ვინაიდან ამ შემთხვევაში, საფრანგეთის ხელში იქნებოდა ევროპისათვის ნახშირის, რკინის და ფოლადის მოწოდების საქმე.

**საფრანგეთი და რუსეთი**

**მოსკოვი** 22 დეკემბერი. პეტროგრადში ჩამოვიდა საფრანგეთის მრეწველთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელი რომელსაც მონდობილი აქვს დასდოს ხელშეკრულება პეტროგრადის სამეურნეო ორგანოებთან და აგრეთვე განიხილოს საკითხი, საფრანგეთის მიერ რუსეთისათვის კრედიტის მიცემის შესახებ.

# ახალი ამბები

— **წყალსადენის ფარულ მილების აღმომჩენლების დაჯილდოება.** ქალ. აღმასკომის პრეზი-დიუმმა დაადგინა, ფარულ წყალსადევის აღმომჩენ კონტროლიორებს მიეცეს ჯილდოდ მისი თვიური ჯამაგირის ნახევარი ერთდროულად, თითო მილის აღმოჩენაზე.

— **დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის რეორგანიზაცია და გაწმინდა.** დაინიშნა კომისია, შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნისტური პარტიის მეორე რაიონული კომიტეტის და კავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით რომელიც ამ დღეებში შეუდგება დასახიჩრებულთა კავშირის გაწმენდასა და რეორგანიზაციას.

— **კალენდარი.** რედაქციამ მიიღო „თვიური და დღიური (კედლის) კალენდარი 1923 წლისა შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. გამოცემა ამხ. „სორაპანი“-სა.

# საფინანსო საკითხები

დღეს როგორც კერძო ისე სახელმწიფო დაწესებულებები აღარ აწარმოებენ ხარჯთ-აღრიცხვას ბონებით, არამედ დამყარებული არიან უმთავრესად ოქროზე.

რომ შეხვიდეთ რომელიმე სავაჭროში ვაჭარი აუცილებლად დაგიწყებს ვაჭრობას ოქროთი ან და ლირით.

ერთი სიტყვით როგორც საქართველოს აგრეთვე საბჭოთა ფედერაციის ბონებმა დაჰკარგეს ღირებულება, რომლის აღდგენას თვის აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს იქმნას ყველა ზომები მიღებული.

ჩვენ კარგათ ვიცით რესპუბლიკის

# ეროვნული საკითხი ანატოლიაში

4

**კავკასიიდან გადასახლებულ მთიელ თემების საკითხი**

მაშინ, როდესაც ჩვენ შევეხეთ ანატოლიაში მოსახლე წვრილ ერების საკითხს, როგორიც არიან ბერძენ-სომხები და ქურთები და როდესაც განზრახული გვქონდა გადასვლა ლაზების საკითხზე, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ აგრეთვე იმ მთიელ თემებს, რომელნიც ოდესღაც გადასახლებულნი იყვნენ რუსხელმწიფობის დროს ოსმალეთის შუაგულ ნაწილებში.

ამ მთიელთა ბინადრობის მთავარ ადგილებათ ოსმალეთში ითვლება სივასის ვილაეთი, დასავლეთი ქურთისტანი და დიარბექირის ვილაეთი. მთიელების ასე შორს დასახლება მოცილებით ყოფილ ძველ რუსეთის საზღვრებიდან იყო შედეგი იმ პირობებისა, რომელიც საფუძვლად დაედვა ამ საკითხის გარჩევის დროს და ნაკარნახევი იყო მოხსენებული, რომ ოსმალეთის მთავრობას მთიელები უნდა დაესახლებინა ისეთ ადგილას, რომელიც ოთხასი ვერსით იქნებოდა მოცილებული ოსმალეთ-რუსეთის საზღვრებიდან. ეს პირობა მართალია სრულიადაც არ აწუხებდა ოსმალთა ძველ მთავრობას, რომელსაც სურდა მთიელები თავის შავი განზრახვების გამოსაყენებლად, სახელდობრ ქურთების და არაბების საწინაალმდეგოთ და დაასახლა მთიელები კიდეც ისეთ ადგილებში, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაგრამ ყოველივე ეს, ყოველივე შევიწროებული მდგომაოება ამ მხრივ დიდ სასოწარკვეთილებაში აგდებდა თვით მთიელებს, რომელნიც დაიმედებულ იმით, რომ მოცილებული რუსხელმწიფობის ჯოჯოხეთურ წამებას ალთქმის ერთმორწმუნეთა ქვეყანაში ჩავარდებოდა, სადაც სიტკბოში და სიამეში შეუდგებოდა თავის მყუდრო აღმშენებლობითი ცხოვრებას და მუშაობას, მაგრამ მისი იმედები ოსმალეთში გადასახლების პირველ წუთებიდანვე გაცრუვდა, გაცრუვდა მისი ირგვლივ შექმნილ აუტანელ და საშინელ პირობებით. მართლაც და, ჩვენ რომ გავითვალისწინოთ ყველა ის უბედურობა, რომელიც მთიელ თემებს გადახდათ კავკასიაში ყოფნის დროს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც რუსხელმწიფობის პოლიტიკა გადამჭრელ პასუხს მოითხოვდა წვრილ ერების ასალაგმავად და აწარმოებდა კიდეც აღნიშნულ პოლიტიკას თავის ძველ რუსულ პოლკების არსებობით, რომელნიც კავკასიის წვრილ ერთა განადგურებით, აწიოკებით და საშინელ სისხლის ღვრით სწერდენ თავიანთ პოლკების სასახელო ისტორიას, სადაც ბრძანებების და სათანადო განკარგულებების ასლების მოყვანით გვიშლიან თავიან რაზმების „სასახლო მოქმედების სარწმუნოების, ხელმწიფის და სამშობლოსათვის“. ეს მათი „სასახელო მოქმედება“ ჟრუანტელს მოგვრის ყოველ ადამიანს, რომელიც გადაიკითხავს ზემოხსენებულ ისტორიას რამოდენიმე ტომებათ დაწერილს. სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს საშუალება ყველა ეს საბუთები სათანადოდ ამოვკრიფოთ და გადაუშალოთ ყველას ის საშინელი წუთები, რომელსაც განიცდიდნენ მთიელთა თემები და მათ შორის უმთავრესად ჩერქეზები გასულ საუკუნის მესამოცე წლებში. ჩვენ არ გვქონდა საშუალება ზემოხსენებული ცნობები მოგვეყვანა აგრეთვე მაშინ, როდესაც ამ გადასახლების საკითხს შევეხეთ წერილებში „საბჭოთა თანაწყობა და ეროვნული საკითხი: ჩერქეზეთი“. ვეხებოდით რა ჩერქეზთა გადასახლების საკითხს ოსმალეთში (იხ. გაზ. „ტრიბუნა“ №№ 301, 303), ჩვენ ვწერდით: „დიდი ნაწილი ჩერქეზებისა გადასახლდა ოსმალეთში, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელსაც ყოველივე თავისუფალი შემოქმედება, ამ შემთხვევაში ჩერქეზთა დაუმორჩილებლობა, არ ასვენებდა, არ აძლევდა გასაქანს მის დაპყრობითი სურვილებს. აიყარნენ მთელი თემები (ნატუხაელები, აფხაზები, უბიხები და სხ.). გადასახლებამ ჩერქეზთა ეროვნებას არა ნაკლები ლახვარი დასცა, ვიდრე წინანდელ შეუწყვეტელ ომმა რუსებთან. გადასახლება ძლიერი სისწრაფით სწარმოებდა. ჩერქეზები ყრიდნენ სახლ-კარს, მიწაში ფლიდნენ ლითონის ჭურჭელს და იარაღს, სწვავდნენ პურს და თივას. მთის ქედებზე გადასვლისას ზამთარში გადასახლებულები იხოცებოდნენ სიცივით და ავადმყოფობიდან. ოსმალეთში გადასასვლელად გადასახლებულებთან შედარებით გემები ძლიერ მცირე იყო. მეზღვაურები აუწერელ გადასახადს სთხოვდნენ მათ და გარდა ამისა, რაც მაშინდელ დროის მოგონებებიდან სჩანს, ღია ზღვაში სძარცვავდნენ მგზავრებს და ყრიდნენ წყალში, რათა საშუალება მისცემოდათ ხელახლა დაბრუნებისა ნაპირებთან ცოცხალ საქონლის ახალ პარტიებისათვის. როგორც მნახველები გადმოგვცემენ, ნაპირებზე წყალს

მიუხედავად ყოველივე ამგვარ მოვალეობისა, ცხოვრების ასეთ უკულმართ პირობებისა, ნაწილი ჩექეზებისა და სხვა მთიელ თემებისა დარჩენ თავიანთ ადგილებზე, ნაწილი კი და დიდი ნაწილი გადასახლდა ოსმალეთში. ამდაგვარ ვიცით, რომ მის შემდეგ ოსმალეთის ერთ ნაწილში ცხოვრობენ აღნიშნული მთიელთა თემები. მათი დასახლებით ოსმალეთში, ოსმალეთის მთავრობის მადა გახსნილ იმედებს ფრთები შეესხა, ვინაიდან ის ფიქრობდა აღნიშნულ მთიელთა თემებიდან შეექნა ის ძალა, ძალა მართლაც საიმედო, რომელსაც დაუპირისპირებდა რუსეთს და მასთანვე ოსმალეთის ფარგლებში მოსახლე მოუსვენარ ქურთებს და არაბებს და აგრეთვე იმ ქრისტიან მოსახლეობას, რომელნიც მუდამ საშიშარ ბანაკს წარმოადგენდა ოსმალეთში. ცხადია რომ ოსმალეთის მთავრობა კმაყოფილებით შესცქეროდა მთიელთა გადმოსახლებას, მით უმეტეს რომ გადასახლებულთა რიცხვი ნახევარ მილიონს უდრიდა და რომელნიც მუსლიმანურ იდეის განხორციელებისათვის პირველ ხანებში ჩასახლებული იყვნენ ბულგარეთში და თესალიაში ადგილობრივ მუსლიმანურ მცხოვრებთა გასაძლიერებლად. ამ რიგად ოსმალთა მთავრობის მიერ რუსთხელმწიფობის წყალობით აყრილი კავკასიიდან მთიელთა წვრილი თემები გამოყენებულ იქნა მუსლიმანურ იდეის განხორციელებისათვის სხვა მცირე ერების დასაჩაგრავად და ასალაგმავად.

ასეთია ბედის ირონია. ასეთია ისტორიის მწარე ხაზები. პატარა ერი, თავისუფლებისადმი ტრფიალით გამსჭვალული, ეროვნულად მომწიფებული, გარეშე უხეშ ძალის წყალობით ნადგურდება, იძულებულია სხვაგან უცხოეთში ეძიოს თავშესაფარი, მაგრამ ამავე მწარე ბედის წყალობით უცხოეთში მეორე უხეშ ძალის ხელში ხდება სხვა წვრილ ერთა გამანადგურებელ იარაღათ.

მთიელებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მათი ჩასახლებამ ოსმალეთის შორეულ ადგილებში და ეს უკმაყოფილება ის გამომხატველი და აშკარა შეიქნა მთავრობის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა მიეღო სასტიკი და ენერგიული ზომები.

თვით დასახლების ადგილზე ჩაჩნები, ლეკები და ბევრი სხვები შეეთვისენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რასაც მოჰყვა მათთან შეჯახებები და აქაც ადმინისტრაციის მიერ მიღებული მკაცრი ზომები ერთგვარ სიმშვიდეს აგდებდა, მაგრამ ეს ყოველივე იყო დროებითი, ვინაიდან ამ შეჯახებების განმეორება ხშირად ხდებოდა, მაგალითად დიარბეკირის ვილაიეთში არაბებთან შეჯახებამ ძლიერი მწვავე ხასიათი მიიღო. რასაკვირველია ყოველივე ეს საშინელი აწუხებდა მთავრობას, ვინაიდან გადმოსახლებული მეტ ბარგად დააწვა მას და მასთანვე თვით გადმოსახლებულნი თავის მხრით დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ თურქებისადმი. ეს უკმაყოფილება მით უფრო ნათელი იქნება ჩვენთვის, თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ უმთავრესად ჩაჩნები, რომელნიც რას-ელი-აიმეს მიდამოებში იყვნენ დასახლებულნი, სადაც მათ ცხოვრებას სრულიად ხელს არ უწყობდა ის კლიმატიური პირობები, რომელიც იმ მიდამოებში იყო, გაწყდენ დაახლოებით 40 პროც.-მდე.

ბევრი ძათგანი სულ იმას ფიქრობდა, თუ როგორ დაბრუნდებოდა კვლავ კავკასიაში, მოაშორებდა თავის სამშობლო მხარეს. ცდები დაბრუნებისა იყო კიდეც, მაგრამ ეს ძლიერ ცოტამ შესძლო და მოახერხა.

„წლებით ყველა ეს უთანხმოებანი ნელდებოდა, მაგრამ ბუნებრივია, უგავლენოთ არ დარჩენ მთიელთა სულისკვეთებაზე და მათ დამოკიდებულობაზე სულთანის მთავრობისადმი. მიუხედავად ამისა, 1877—78 წწ. კამპანიისათვის ოსმალთა მთავრობამ ხელახლავ თავის იმედები მიაპყრა მთიელებს და მოინდომა მათი გამოყენება, სთვლიდა რა მათ საუკეთესო ბუნებრივ ცხენოსნებათ და მართლაც, მან მოახერხა და შეადგინა სხვა და სხვა თემებიდან ცხენოსანთა რაზმების მთელი კორპუსი, რომელმაც ორივე მხრით, როგორც ევროპისა, ისე აზიისაზე. მთელ კამპანიის განმავლობაში დიდი დახმარება ხაუწია... მაგრამ მთავრობამ ყოველივე ეს არ დააფასა, მოელოდა რა უფრო მეტს, მან მხედველობიდან გაუშვა რომ მთიელთა ცხენოსნების მოქმედების ხასიათი სამხედრო ოპერაციების მსვლელობიდან გამომდინარეობდა და ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა შეფასებულიყო. საერთოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ოსმალნი ამ საქმეს ძლიერ მიდგომით სჯიდენ, შემოფარგლეს კერძო შემთხვევები, როგორც მაგალითად, მუსა ფაშის კუნდუხოვის მთიელთა ბრიგადის დამარცხება ბეგლი-ახმეტთან, და ძლიერ ჩქარა დაჰკარგეს

მთავრობა შეძლებისამებრ ღებულობს ყოველივე ზომებს, რათა ბონები ჩააყენოს ნორმალურ პირობებში, მაგრამ ჩვენ ერთ რამეს აუცილებლად უნდა გაუწიოთ ანგარიში სახელდობრ მუშა-მოსამსახურეებს.

ბაზრის ანარქიამ საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა მუშათა კლასი, ვინაიდან ჯამაგირი აღარ შეედრება ბაზრის ფასებს.

ამ შემთხვევაში, როდესაც ყველგან ანგარიშს მოითხოვენ და აწარმოებენ ოქროს კურზე, რასაკვირველია უნუგეშო მდგომარეობაში იქნება მუშა-მოსამსახურენი, თუ კი ეს გრძელდება ჯამაგირის მიცემა ბონებით და არ იქნება მხედველობაში მიღებული ოქროს კურსი.

დღეს, გარდა ზოგიერთ უწყების თანამშრომლებისა, რომელთაც ეძლევათ ჯამაგირი ოქროს კურსის თანახმად დანარჩენნი ღებულობენ ჯამაგირს ბონებით რაც არა სასურველ მდგომარეობაში აყენებს თანამშრომლებს.

თუ-კი სამეურნეო დაწესებულება შეკვეთილ საქმეებს მხოლოდ ოქროს კურსით ღებულობს და ამავე დროს ვაჭრობა სწარმოებს ოქროს კურსის მიხედვით, რა დააშავეს მუშა-მოსამსახურეებმა, რომ ისინი ღებულობენ ჯამაგირს რამოდენიმე თვის განმავლობაში ერთი და იმავე კურსის მიხედვით.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება და საქმე სასურველად გამოსწორდეს.

ამით ჩვენ შევძლებთ უფრო ნორმალურ პირობებში ჩავაყენოთ მუშათა კლასის მდგომარეობა და არ გავხადოთ მსხვერპლი სპეკულიანტებისა.

**გ. ლახარი.**

## საბავშო ბაღები და მათში მუშაობა

ამ უკანასკნელ წლეებში საქართველოს მიწა-წყალზე მეტად გახშირდა და მოდაში შემოვიდა მონტესსორის სისტემა და ამ სისტემაზე დაყენებული საბავშო ბაღები. ძალიან ხშირად ლაპარაკობს ამ საგანზე მასწავლებელი მშობელი და თვით ბავშიც.

საზოგადოთ ბევრმა სისტემამ იჩინა თავი, მაგრამ საქართველოში გადმოინერგა უმთავრესად მონტესსორის სისტემა და ზოგადათ ფრებელისაც.

არც ერთი გაზეთი არასდროს შეხებია საბავშო ბაღებს: რას წარმოადგენს, რა კეთდება; და საზოგადოთ პედაგოგიკაზედაც სდუმს.

ყველაზე აბუჩად აგდებული ეს დარგია, და მაზე წერას არავინ კისრულობს.

ჩემს უმთავრესს საგანს არ შეადგენს საერთოდ პედაგოგიკის ამა თუ იმ საკითხების გაშუქება; მე მხოლოდ მინდა შევეხო ზევით წამოყენებულ საგანს, ტფილისის საბავშო ბაღებში მუშაობას.

დიდი ხანია მეტად თვალყურს ვადევნებ და მეტად მეინტერესება ამ საბავშო ბაღებში გატარებული სისტემა—თუმცა არა ვმუშაობ საბავშო ბაღში: მაგრამ ორი წლის განმავლობაში მეტად ხშირად დავდიოდი ამ ბავშთა სამეფოში და ვაკვირდებოდი როგორც სისტემას, ისე ბავშების მუშაობას.

ამ თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ არა ვარ მომხრე წმინდათ მონტესსორის სისტემისა, როგორც ასეთის, ე. ი. არა მრწამს განსაკუთრებით მონტესსორის სისტემა, რადგანაც მას აქვს ისეთი მხარეები, რომელნიც სრულიად არ შეეგუებიან ჩვენი ბავშის სულიერ ზრდას.

თუმცა ამ სისტემის გადმონერგვის სათავეში მდგომთათვის კერძო საუბარში ბევრჯერ მითქვამს ჩემი აზრი მაგრამ პრესაშიც უნდა აღიძრას ეს საკითხი, დროა ფართე საზოგადოებამაც გაიგოს, რა კეთდება ჩვენს სკოლებში და კერძოთ ბაღებში და მეორეთ უფრო გამაბედინა მხოლოდ და მხოლოდ განათლების მუშაკთა სახლში მუშაობამ.

რომ ჩემი წერილი მიზანშეწონილი იყოს და განზრახული საკითხი გაშუქდეს, ჯერ შევეხები ამ სახლის მუშაობას, შემდეგ კი ტფილისის საბავშო ბაღებს და ბოლოს მონტესსორის სისტემას.

განათლების მუშაკთა სახლში მუშაობა ამ სემესტრში გაიხსნა. ამ სახლში მუშაობას მიზნად აქვს გაარჩიოს შრომის სკოლის დაყენება, პედაგოგიურ საკითხების გაშუქება მოხსენების სახით (ზედა სექციაში) და ყველა სისტემების და საბავშო ბაღის გარშემო საკითხების გარჩევა (ქვედა სექციაში—კვირაში ერთხელ). მუშაობა ასეა განაწილებული:

მოხსენებებს კითხულობენ, საბავშვო ბაღების და კერების ახალგაზრდა ხელმძღვანელები, თავიანთ დაკვირვებაზე, მუშაობაზე, შედეგებზე და სხვა. ამავე დროს პერიოდულად ვრცელ მოხსენებას კითხულობენ უკვე გამოცდილები ამ საქმეში, ამა თუ იმ სისტემის ძირითად მხარეებზე.

მიმდინარეობა ამ მოხსენებისა ხდება რუსულ ენაზე. (თუმცა ძალიან საკვირველია! რადგანაც ზედა სექციაში ქართულ შრომის სკოლების შესახებ ქართულად არის, რუსულ სკოლებისა კი რუსულად). ამ მოხსენებებს ესწრებიან საბავშო ბაღებში მომუშავენი, შრომის სკოლის მასწავლებელნი და გარეშე პირნიც—ვისაც აინტერესებს.

ერთი უტყუარი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემი დაკვირვებით გამოვიტანე ამ მუშაობიდან გახლავთ: სრულიად მოუმზადებლობა და უსუსურობა საბავშო ბაღების მასწავლებლებისა ამ საკითხში. უცხო ადამიანი გაიფიქრებს: ალბად ამ ხალხს ევალება აქ სიარული, თორემ რომ ინტერესით მოდიოდეს, ნუ თუ გაფაციცებით და გაცხარებით არ ჩაერევა ამ საერთო მუშაობაში, კამათში და სიხარულით არ იკისრებს რომელიმე მოხსენების წაკითხვას?

**მეთვალყურე.**

(შემდეგი იქნება).

მთიელების ნდობა, რასაც უკანასკნელებისაგან არ მალავდენ." (იხ. ინალ ბუტაევის წერილი „ეროვნული საკითხი ანატოლიაში").

რასაკვირველია ყოველივე ეს, თუ მივიღეთ თვით ოსმალთა მთავრობის სუსტე და მთელ კამპანიის დროს თანდართული დამარცხებები, საკმარისი იყო რომ ეს თავმოყვარე და ამაყი ხალხი სულითა და გულით განსჭვალულიყო ოსმალთა წინააღმდეგ.

მთიელთა დიდი უმრავლესობა დღესდღეობით ოსმალეთის საწინააღმდეგოდ არის მომართული, განწყობილი. ასეთი უთანხმოება ყველგან გამოსჭვივის ოსმალთ და მთიელებს შორის, თუ მივიღეთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ კულტურულად მთიელები თავისთავს ოსმალთა ქვევით არ აყენებენ. ამასთანავე უეჭველად მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ სხვა და სხვა თემების მთიელები ურთი ერთ შორის მართლაც სოლიდარულად არიან განწყობილნი, უმთავრესად რასაკვირველია მათი განათლებული ნაწილი: ოფიცრობა და მოხილეები.

ამრიგად ცხადია თუ როგორ სდგას ოსმალეთში, სახელდობრ ანატოლიაში იმ წვრილ მთიელ თემთა საკითხიც, მიუხედავად მათი ერთსარწმუნოებისა, რაც ეროვნულ საკითხს სრულიადაც ვერ ეფარდება, ვინაიდან „ღვთის განგება"-ც ამ შემთხვევაში ვერაფერს შველის ოსმალთა ბობოლებს, რომელთაც სურდათ ერთი ფერით შეეღებათ ყველა ერთ მორწმუნე ერები, მაგრამ საკითხი სულ სხვა გზით გადაიშალა, საკითხი რევოლიუციონურ ასპარეზზეა გამოტანილი და სწორი გადაჭრას მოელის, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ამაშია ნამდვილი გამოსავალი თვით ოსმალეთისათვის, განახლებულ ოსმალეთისათვის, რომელიც ამ განახლებისათვის და თავის ეროვნულ უფლებების აღდგენისათვის იბრძვის.

**ხოხო ახლანიშვილი.**

## „მოლაპარაკე კინემატოგრაფი და რუსი გამომგონი ე. ი. კოვალენკოვი"

ამ სათაურით გაზ. პრავდას 9 დეკ. ნომერში დაბეჭდილია წერილი. მოგვყავს მისი შინაარსი შემოკლებით.

ამას წინეთ ბერლინში დადგმულ იქმნა მეტათ საინტერესო წარმოდგენა აკუსტიური კინემატოგრაფისა. კინემატოგრაფის ეკრანზე ჩნდებოდნენ არტისტები, რომლებიც თამაშობდნენ, მღეროდნენ და ასრულებდნენ საოპერო სცენებს. ნაჩვენები იყო აგრეთვე ბაზრის სურათები, სამხეცე მთელი თავისი რთული ხმათა მრავალფეროვანობით. ილიუზია, მნახველების თქმით იყო სრული. დაბეჭდილ პროგრამაში წარმოდგენისა, რომელშიაც, სხვათა შორის, აღნუსხულია გამოგონების დედა აზრი, აგრეთვე საინტერესო წერილი **რეხპერიხა** მოლაპარაკე კინემატოგრაფის შესახებ, აღნიშნულია ის გზები და ტეხნიკური საშუალებები, რომელთაც ახსნილ იქმნა ეს დიდი ამოცანა.

უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში იყო მრავალი ცდა ამ მიმართულებით. ცნობილია პარიზის ფირმის „გომონის" ცდა, რომელიც შეიცავდა კინემატოგრაფიულ აპარატის და გრამაფონის ერთ დროულ მოქმედებას. მაგრამ ასეთ საშუალებას აქვს ორი დიდი უარყოფითი მხარე. პირველი: შეუძლებელია სრული სინქრონიზმის მიღწევა სურათებსა და ხმებს შორის. მეორე სერიოზული უარყოფითი მომენტი გამოიხატება მოლაპარაკე გრამაფონის შინა ბუნებაში, სადაც ჩვენ გვაქვს ხმათა შეწყვეტა და თავიდან მოუცილებელი თანამგზავრი—ხმაურობა გრიალი, რომელსაც იწვევს გრამაფონის ფირფიტებზე ნემსის ხეხვა აქ გამოადგა მეცნიერებას ელექტრონობა. მომქმედ ბგერიდან ელექტრონით სინათლისაკენ და ამ ბგერათა სინათლისაგან ელექტრონითვე კვლავ ხმისაკენ—აი ამოცანის გადაწყვეტა.

ტეხნიკურად ყოველივე სრულდება შემდეგნაირად. კინემატოგრაფიულ გადაღების დროს ხმები—ადამიანის, ცხოველების, ზღვის ხმაური და სხ.—მოქმედებს მიკროფონზე (ანალოგიურად იმისა, რაც ჩვენ გვაქვს ელსმენის ყურმილში). მიკროფონი აქცევს ხმას ტალღისებურ ელექტრონულ ჩქერად, რომელიც თავის მხრით ანთებს პატარა ლამპას და ლამპის შუქი (სინათლით ჩქერი) აღიბეჭდება ვიწრო ჭურჭუტანიდან ეკრანზე, რომელიც დადგმულია ფილმის წინა და რომელზედაც იხატება სურათები. ამ რიგად, ჩვენ ვღებულობთ ერთ და იმავე კინემალოგრაფიულ ლენტზე, მოცემულ სურათის გვერდით, ერთდროულად ფოტოგრაფიულ ვიწრო ზოლს—ხმის სინათლოვან სურათს.

ისევე ხმის მისაღებად სინათლის სხივები რომელიმე ძლიერი წყაროდან უნდა მოიმართოს ეკრანის ჭურჭუტანიდან ფილმაზე და გაივლის იმ ნაწილს, რომელზედაც აღბეჭდილია სინათლოვანი სურათი ხმისა, მოქმედობს ფოტოელექტრონულ ელემენტზე. ამ უკანასკნელშ სინათლე გადადის ელექტროობაში. ამ გვარად, პროცესში ჩვენ ვღებულობთ ჯერ ერთდროულ ჩაწერას სინათლისა და ხმის, ხოლო შემდეგ ხმას და სურათს შეფარდებულად,—სრულ ილიუზიას.

აღნიშნულ მიმართულებით მუშაობა დაიწყო 1901 წ. ბერლინის ფიზიკოსმა **ერნესტ რუმერმა**. საბოლოოდ ეგ ამოცანა ახსნილ იქმნა გერმანიაშივე ამ მოკლე ხნის წინეთ. ზემო აღნიშნულ ნესპერის წერილში მოყვანილია ფორეტის, ლანგმიურის, გეორგ ზაიბტის მუშაობა. ჩვენ გვაქვთ აგრეთვე სხვა პირების შრომანიც.

ჯერ კიდევ 1919 წ. პეტროგრადელ პროფ. ვალენტინ ივანეს ძე **კოვალენკოვმა** წარმოადგინა გამომგონების საქმეთა კომიტეტს განცხადება მოლაპარაკე კინემატოგრაფის შესახებ. საინტერესოა იმ გარემოება, რომ კავალენკოვისა და გერმანიის მეცნიერთა შრომანი გამოქვეყნებულ იქმნა ერთი და იმავე დროს. კოვალენკოვი უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ მოლაპარაკე კინემატოგრაფის პირველ გამომგონედ, გერმანელ აღმომჩენთა გვერდით. გერმანელთა და კოვალენკოს შრომის დაწერილებითი ანალიზი გვათქმევინებს, რომ ზოგი დეტალები, კოვალენკოვის მთავარ უფრო ზედმიწევნით შესრულებულია, გერმანელებთან შედარებით.

ცნობილი მეცნიერი, ბრწყინვალი გამომგონი, დაუღალავი მუშაკი ე. ი. კოვალენკოვი არის ავტორი მთელ რიგ აღმოჩენითა.

ჩვენ არ შევჩერდებით კოვალენკოვის ცნობილ 11 აღმოჩენებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს, სხვათა შორის, რომლებსაც აქვს მჭიდრო კავშირი მოლაპარაკე კინემატოგრაფთან.

1. მექანიკური ფონოგრაფია ასობგერათა დასურათხატება, კოვალენკოვი იღებს ხმათა მთელ რიგს, რომლებიც (ხმები) ეთანხმება ხმოვანთ, თანხმოვანი და მათ თანმიმდევროვას. ამ ანბანით შესაძლებელია სიტყვის (**речь**) დამზადება, მღერა.

2. ელექტრონული რეზონატორები. ხმის ტემბრი, კოვალენკოვის აზრით, არის ისეთი რამ, რომელიც ფარავს ყოველგვარ სიტყვებს, ხმათა ფონი, რომელიც ახასიათებს ყოველ ადამიან და დამოუკიდებელია წარმოთქმულ ხმათა სიმაღლისაგან. როდესაც ჩვენ შევცვლით ამ მუდმივ ფონს, ჩვენ შევცვლით სიტყვის ტემბრსაც. ელექტრონული რეზონატორები გვაძლევს საშუალებას მიცემული შენობა დააყენოთ ამ თუ იმ ფონზე და ასე თუ ისე შევცვალოთ შენობაში წარმოთქმულ ხმების ტემბრი. რეზონატორები შესაძლებელია შეერთებულ იქმნას კლავიშებთან: ერთი არტისტი დაუკრავს როიალზე, მეორე—ხაზს უსვამს ამა თუ იმ ადგილს პიესისა და სცვლის მუსიკალურ ინტსრუმენტის ტემბრს.

3. ელექტროჰარმონიუმი,—როიალი, რომლის სიმები შეცვლილია სკატოდო გენერატორით. ასეთ ხელსაწყოთი ძლიერ დაინტერესდა ორგანოთა ხელოვნების პროფესორი **მანდშინი** (შვეიცარიაში). იგი უწოდებს ამ ხელსაწყოს ელექტრონულ იარაღს.

4. ტელეფონის სამწერო აპარატი, ხელსაწყო, რომლის საშუალებით, აბონენტის არ ყოფნის დროს, შესაძლოა ჩაწერა ნალაპარაკევის.

5. რკინის გზის სადგურებისა: და მატარებელთა შორის ცნობების გადაცემა სწრაფცვალება ჩქარის ტელეფონიზაციის საშუალებით.

6. მშრალი წყალ დასასხმი აქტიური ელექტრონული ელემენტი. ეგ ელემენტები უკვე იხმარება პრაქტიკაში. კოვალენკოვის მიერ მოწყობილია ელემენტების დიდი ქარხანა რუსეთში. ეს ქარხანა მუდმივ უზრუნველყოფს [illegible] ელემენტებით წითელ არმიას.

7. ხედვა გამტარით და რადით. საჭიროა მივაქციოთ დიდი ყურადღება კოვალენკოვის შრომებს და გაღებულ იქმნას შესაფერისი ზომები მისი აღმოჩენათა რეალიზაციისთვის.

# ხელოვნება

## ბოლოს უნდა მოეღოს

მე მინდა ამ სათაურით დაინტერესებულთა ყურადღება მივაქციო იმ „ანტისანიტარულ" მდგომარეობას, რომელიც თავისთავად პოეზიის გარეშე ჰქმნის ქაოსს, მაგრამ მისი მარკით ავრცელებს ერთგვარ ავადმყოფობას, სახელდობრ: უპასუხისმგებლობას. მოკლეთ ორშაბათს დეკემბრის 20 პირველ კონსერვატორიაში „ილიონის" მესვეურებმა ჭუმბაძემ, ვინმე ტატიშვილმა და გამსახურდიამ გამართეს „ვაჟა-ფშაველას საღამო". ეს ხალხი კარგახანია უსულგულო საღამოების გამართვით ყოველდღე გამოდიან მოღვაწეობის ასპარეზზე. აღნიშნული საღამოც ვაჟა-ფშაველას სახელით გამართული, უსათუოდ პოეზიის პრესტიჟის დამამცირებელი ნიმუში იყო. ერთიც და მეორე მომხსენებელიც (ჭუმბაძე და გამსახურდია) ლაპარაკობდენ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას პოეზიის დერეფანში და ვერც ერთს ვერ უშველა საქართველოში რამოდენიმე ხნით არ ყოფნამ; კიდევ: გამსახურდიას და მის ალხანას მანიათ ექცათ ყველგან და ყველაფერზე, სადაც არის საჭირო და არ არის, ილაპარაკონ პატრიოტიზმის არშინით. და უნდა ითქვას, ამ ხალხის პირიდან საქართველოს ხსენება მოსაბეზრებელი შეიქნა. ეს არა იმიტომ რომ ვინმე მათზე ნაკლები მამულიშვილი იყოს...

ვაჟა-ფშაველას საღამო რამდენიმე კვირის წინ გამართა ახალ მწერალთა კავშირმა ხელოვანთა სასახლეში.. „ილიონის" ჯგუფმა ვაჟას საღამო გადაიტანეს კონსერვატორიაში.. ვაჟა რომ გაცოცხლებულიყო და დასწრებოდა ამ საღამოს, ან სრულებით უარს იტყოდა თავის პოეზიაზე, ან და მართლა „დაატრიალებდა იმ ხანჯალს", რომელსაც ვერასოდეს ვერ ასწევენ „ილიონის" მწერლები. კიდევ უფრო საშინელი მოსასმენი იყო ვაჟას ლექსები, საღამო სრულებით წელში გატეხა იმ ახალგაზრდა „ფუტურისტებმა", რომლებიც ამ სახელის ფართე ავტონომიის მინიჭებით დებოშებს ახდენენ. ამ საღამოს მათი საქციელი არაფრით არ შეიძლება გამართლდეს. ასეთი სკანდალები, ვაჟას საღამოს ასე აგდება, საზოგადოების ასე გაბიაბრუება, თავი რომ დავანებოთ გამმართველებს, ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული. პოეზიის ნამუსისათვის მოვითხოვ საზოგადოებისაგან და უფრო პოეტებისაგან, რომ ამ გვარ ანორმალობას დაედვას საზღვარი. ჩემთვის აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში არც დამხვდურები და არც მომხდურები არაფერს არ კარგავენ, მაგრამ პოეზიამ კი შეიძლება ბევრი დაკარგოს.

**რაჟდენ გვეტაძე.**

### ხელოვანთა სახლი.

დეკემბრის 21-ს შესდგა მორიგი ლიტარატურული ხუთშაბათი. მოხსენება წაიკითხა ლეო ქიაჩელმა—„ქართული რომანი".

მომხსენებელმა დაახასიათა მსოფლიო რომანის ყველა უნარები: ფრანგული, გერმანული, ინგლისური და რუსული რომანი და განასხვავა ისინი ურთიერთისაგან ნაციონალურ აპერცაპიიცთ.დასასრულ გამოვიდა ქართულ რომანზე; აღნიშნა სიღარიბე ჩვენი ლიტერატურისა ამ სფეროში და ქართული ნაციონალური რომანის საუთესო ნიმუშებით დაასახელა „აბესალომ და ეთერი" და „ამირანი".

საზოგადოთ მოხსენება არ იყო პრობლემის არსებითი დაყენება და მისი დასაბუთებული გადაჭრა. ამას თვით მომხსენებელიც აღნიშნავდა. მოხსენების გარშემო რამოდენიმე შეკითხვის შემდეგ გაიმართა საინტერესო კამათი. პავლე ინგოროყვამ დაამტკიცა, წინააღმდეგ მომხსენებლისა, რომ „ამირანი" და „აბესალომ და ეთერი" ყველაზე ნაკლებათ ატარებენ ქართულ ნაციონალურ სულს ილაპარაკა ტიციან ტაბიძემ, რომელმაც სხვათა შორის ქართული რომანისა და პროზის თეორია სანდრო ცირეკიძეს და სერგო კლდიაშვილს(?) მიაწერა. და ცირეკიძის გაგებმა პროზაში ფუტურიზმათ გამოაცხადა. ფუტურისტმა პოლ. ნოზაძე ალტერაციულად დაშალა სიტყვა „რომანი" წამოაყენა სრულიად ორიგინალური გაგება რომანისა, სიმონ ჩიქოვანმა თავის სიტყვაში დაამტკიცა შესაძლებლობა პროზისა და პოეზიას შორის ყოველგვარ საზღვრების წაშლისა და ამ გზით თვით რომანის სავსებით გადაგვარებისა. მისი სიტყვა იყო მძაფრი კრიტიკა მოხსენებისა და უმთავრესად ტიციან ტაბიძის სიტყვის, რომელმაც საპასუხო სიტყვაში გამოამჟღავნა დიდი სიმპატიები ახალგაზრდობისადმი. ერთმა მსმენელმა ქალმა გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ მწერლების ბრძოლას არ აქვს წმინდა ლიტერატურული ხასიათი და მათ შორის უმთავრესათ პირადული ქიშპობაა. თუმცა ამ საღამოს ასეთი დისონანსი ყველაზე ნაკლებათ სჩანდა. უკანასკნელათ ილაპარაკა ნიკოლოზ შენგელაიამ, რომელმაც უპასუხა მსმენელს და გაარკვია ფუტურისტული გაგება რომანისა.

ილაპარაკა აგრეთვე მოსე თოიძემ, რომელმაც მიბაძვით ნოზაძისა და ჩიქოვანის, ალტერაციულათ დაშალა „რომანი" და სთქვა: ეს სიტყვა თავდება „ანი"-თ. ამიტომ საჭიროა ფუტურისტებმა ჯერ ან-ბანი ისწავლონ. ასეთმა განცხადებამ გამოიწვია საერთო სიცილი და ფუტურისტების მხრივ ირონია. დასასრულ მომხსენებელმა კომპრომისული პასუხი გასცა ოპონენტებს.

საერთოთ ეს საღამო ჩვეულებრივზე მეტად საინტერესო და დამაკმაყოფილებელი გამოდგა.

### მოქ. დინიელიანის კონცერტთა ციკლი.

ნიჭიერმა მომღერალმა, ავათმყოფობიდან მორჩენის შემდეგ, მისცა მე-2 lider abend, მიძღვნილი კლასიკებისადმი გენდელისა და მოცარტის. მე მიჭირს თქმა, რა უფრო მეტია მასში: ნიჭი თუ ერუდიცია. მან მოხდენილად შეასრულა გენდელის ცნობილი არია „რინალდო", არია ოპერიდან „როდელინდა" მოცარტის. უკეთესი იყო არია ოპერიდან „მოტაცება სერალიდან", „მორეცი" (ყველა merro voce) და ნანინა. დანიელიანის კონცერტი ლამაზი გვერდია ტფილისის მუსიკალურ ცხოვრებაში.

**პ. ბებუთოვი.**

### გლაზუნოვის იუბილე.

სახელმწიფო პირველმა კონსერვატორიამ კონცერტით გადიხადა გლაზუნოვის იუბილე, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ მის ნაწარმოებებიდან. კონცერტის დასაწყისისას კონსერვატორიის ინსპექტორმა ჩემოდანოვმა დაახასიათა გლაზუნოვის საკომპოზიტორო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მაგრამ ჩემოდანოვი შეცდა, როცა ამბობდა, რომ მას მხოლოდ 7 სიმფონია აქვს დაწერილი: გლაზუნოვს 8 სიმფონია აქვს დამთავრებული და, როგორც ამბობენ, ამ ბოლო ხანებში მან მე-9-ც დასწერა. ჩემოდანოვი შესცვალა სიმებიანმა კვარტეტმა (I, eroliono—პროფ. ვილშაუ, II—გროსმანი, cello—პროფ. მინიარი, alto სტუპელი). კონსერვატორიის მასწავლებელმა მიხალსკაიამ მუსიკალურად შეასრულა რომანსები. დიდი ხნის შემდეგ ისევ გაჩნდა კონსერვატორიის პროფესორი ვასილიევი, რომელიც დიდიხანია არ გვინახავს. მეორე განყოფილება დაიწყო პოფ. მინიარით (cello). შემდეგ იყო პროფ. ვინოგრადოვი. მოქ. მიხალსკაიამ და პანინამ შეასრულეს ვოკალური დუეტი. რა კარგად მღერის პანინა! სჩანს კარგი სკოლა. კონცერტი დასრულდა პროფ. ლედნიკის შესრულებით (violino).

**პ. ბებუთოვი.**

**ილიონი № 3.** დღესასწაულებისთვის გამოვა ჟურნალ ილიონის მესამე ნომერი: 1) კ. გამსახურდია: „ტრაგედიის წარმოშვება მისტიკის სულიდან". 2) ირაკლი ტატიშვილი: ფრ. ნიცშე. 3) ლექსები: კ. გამსახურდიას, ტ. გრანელს, ვ. გორგაძის, მარიჯანის, ი. მოსაშვილის.

მოხსენებები: გარდელის, ჭუიარალოსი, ერწილები; პროფ. დ. უზნაძის, კ. ამაი

შიძის, ალ. წერეთლის ბიბლიოგრაფია. ჟურნალი იქნება 80 გვერდი. ეღირება 40 ათასი მანეთი. ჟურნალს დართული აქვს ფრიდრიჰ ნიცშეს სურათი.

**„საქართველოს სამრეკლო“.** მოკლე ხანში ტფილისში გამოვა ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ კ. გამსახურდიას, ირაკლი ტატიშვილის და არისტო ჭუმბაძის რედაქტორობით.

## დღეს თეატრებში

**ახალი თეატრი.** დღეს, დეკემბრის 23 ახალ თეატრში მარგარიტოვის რეჟისორობით დადგმულ იქნება „ძველი ღმერთები“.

## განმარტება

გაზეთ ტრიბუნის მე 372 ნომერში 17 დეკემბრის თარიღით მოევლინა სტატია შენიშვნა „საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირის“ შესახებ, რომელზედაც ხელს აწერს კავშირის მდივანი ვარლამ ჩლაიძე.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შესაძლებელია იქონიოს ალაგი მუშათა მასაში, ამ კავშირის შესახებ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო აცხადებს:

1) ზემოდ მოხსენებულ ორგანიზაციას, რომელიც ატარებს კავშირის სახელს, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქართვ. პროფესიონალურ კავშირებთან და არც შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან ამ კავშირის წევრებად ითვლებიან წვრილი მოვაჭრენი, მეპატრონენი და სხვანი, რომელთაც არა აქვთ უფლება ისარგებლონ იმ პრივილეგიებით, რომლებითაც სარგებლობს პროფკავშირთა ორგანიზაცია.

2) რაც შეეხება ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის და ამ კავშირის ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და მონაწილეობის მიღებას ამ კავშირის წარმომადგენლისა სხვა და სხვა კომისიებში, ასეთი საკითხი ვერავითარ დახმარებას პროფკავშირიდან ვერ მიიღებს ზემოდ აღნიშნულ მიზეზების გამო.

3) სტატიაში ნაჩვენებია ვითომც დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირს ჩამოერთვა ბინა ხელოსანთა კლუბისა, ამის შესახებ პროფკავშირთა საბჭო აცხადებს ფართო მასის მიმართ, რომ დღიდან საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა, როდესაც არ არსებობდა ასეთი კავშირი, ხელოსანთა კლუბი გადაეცა განცალკევებულ კავკასიის არმიას წითელ არმიელთა მასის სამსახურისთვის, რომლებიც არიან ისევ ის მშრომელნი მუშები, რომელნიც დგანან დარაჯად საბჭოთა ხელისუფლების დასაცველად.

საქართველოს პროფსაბჭო კიდევ მოაგონებს ამხ. მუშებს, რომ ეს განმარტება ცხადდება მხოლოდ იმისთვის, რომ აღნიშნულმა შენიშვნამ შეცდომაში არ შეიყვანოს ზოგიერთი ამხანაგი თუ რისთვის უმაღლესი ორგანო პროფორგანიზაციისა არ იცავს ამ კავშირის ინტერესებს, ის ორგანიზაცია, რომელიც შესდგება მცირე მესაკუთრეებიდან — ხელოსნებიდან და სხვა არ შეიძლება იყოს დაფარული მუშათა ორგანიზაციიდან პროფკავშირის სახით.

**ს. პ. კ. ს. სამდივნო.**

## შენიშვნა

**საქალაქო აღწერის გამო.**

აღწერის ღირსეულად დამთავრებაში კონტროლიორების დაუზარებლათ და გულწრფელი მუშაობით უეჭველად დიდი ღვაწლი მიუძღვით. აღწ. სამუშაოში რაიონების გამგეებმა დაპირებულზე თითო მილიონით მეტი (ექვს-ექვსი მილ.) მიიღეს, რა თქმა უნდა ეს დიდი სასყიდელი არ არის, მაგრამ კონტროლიორებს კი—ბაზრის მრავალნაირ ცვალებადობის მიუხედავათ არავითარი მიმატება მიუღიათ!

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონტროლიორებმა შრომის სასყიდელი— რაღაც ორი მილიონი მიიღეს სწორეთ იმ დროს, როდესაც ბაზარი თავის „გაგიჟების“ უმაღლეს წერტილზე იყო ასული...

დღეს ყოველნაირი შრომის სასყიდელი რამოდენიმეჯერ მრავლდება და არ გვესმის აღწერის კონტროლიორები რათ უნდა დარჩენ უყურადღებოთ?!

**არჩილ ხუნდაძე.**

### ჭერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მე არ ვითვლები მემარჯვენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში და დღეიდან ვიზიარებ საბჭოთა სისტემას, ვუცხადებ მას ჩემ სიმპატიას და ამიერიდან ვსთვლი ჩემ თავს საქართ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის თანაგრძნობად და თანამოაზრედ.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში სპეციალობისა და მომზადების დაკვალად ჩემს წვლილს დაუზარებლივ გავიღებ ჩვენი ქვეყნის უმრავლესობის, მუშათა და გლეხთა, საკეთილდღეოდ და ყოველგვარი წარმატებისათვის.

**მაქსიმე ბერძნიშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომეტეტი.

თავზარ დაცემული დედა ოსანა, ცოლი ვასასი, დები: ცაცა, ნინა, საშა და ლიზა, შვილები ვასიკო, ელიზა და ბელურა (ვახტანგი) სიძე აკაკი ბაქრაძე ვაუწყებთ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს უდროოთ გადაცვალებას 21 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ

**გედეონ ვლასის ძე დარახველიძის**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5—7 საათზე სახლში გოგოლევის ქ. № 23. დაკრძალვა მოხდება კვირას 24 დეკემბერს 11 საათზე, ვერის სასაფლაოზე.

№ 230. 2—1

ივანე გიორგის ძე, ვერა ალექსანდრეს ასული და ვახტანგ ივანეს ძე ციციშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი სიძის

**ალექსანდრე ივანეს ძე ვაჩნაძისას,**

გამოსვენება ბინიდან (ვაკე, სახლი ვარდანოვისა) ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე კვირას დეკემბრის 24-ს დილის 10 საათზე.

№ 360 1—1

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს თანამშრომლებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 10 დეკემბერს ბოროტ-განმზრახველების მიერ კუმისის ტბის მახლობლათ ვერაგულად მოკლულ კავშირის წევრის მე 7-ე საგადასახადო განყოფილების გამგის

**გიორგი გერმანეს ძე ბიორბაძის**

დაკრძალვა მოხდება 24 დეკემბერს კვირას დილის 10 სიათზე განოვის ქუჩა № 3 ვერის სასაფლაოზე.

№ 227 3—2

**დედებო!** სამშობიარო სახლიდან გამოსვლის შემდეგ ძუძუმწოვარა ბავშთა აღზრდის შესახებ რჩევა-დახმარებისათვის მიმართეთ ჩამოთვლილ კონსულტაციებში:

1. ვერის ბოზარდჟიანცის თამბაქოს ქარხანაში.
2. მიხაილოვის რეუტოვის და ნიკოლოზის ქ. კუთხეში № 43.
3. სადგური-სადგურის ქ. № 8, ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა.
4. ორთაჭალის-ვორონცოვის ქ. ადელხანოვის ქარხანა.
5. ავლაბრის-მეტეხის ქ. № 10.

226 5—3 მედიცინის ექიმი **შენგელიძე.**

დოკტორი **გ. მებრაბიანცი**

„ქ. ახისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა“

შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა, რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

# სავალდებულო დადგენილება

## № 15

## ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

19 დეკემბერი 1922 წელი

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქ. სოც. საბჭოთა რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, 1922 წ. 7 დეკემბრიდან № 25 განსაკუთრებული სამოქალაქო გადასახადის დაწესების შესახებ ტფილისის აღმასკომი ადგენს:

§ 1.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროული სადგურის ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლად დაწესდეს 1922 წ. განსაკუთრებული სამოქალაქო გადასახადი მთელი შრომის უნარიან მოსახლეობისათვის, რომელნიც ქ. ტფილისში ცხოვრობენ სახელდობრ: მამაკაცებისათვის 17—60 წლამდი და დედა-კაცებისათვის 17—55 წლამდი,—უკანასკნელი წლის ჩარიცხვით.

§ 2.

სამოქალაქო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობისა (ოქროთი გამოანგარიშებული): ა) მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომელნიც იღებენ ხელფასს მე-9 ხარისხამდი ამ უკანასკნელის ჩარიცხვით და რომელიც დამტკიცებულია ს. პ. კ. ს. სატარიფო ნუსხით, ორმოცდაათი (50) კაპ; ყველა დანარჩენმა მუშა-მოსამსახურეებმა, რომელნიც იღებენ მე-9 ხარისხს ზევით ერთი (1) მანეთი სულიდან; ბ) სავაჭრო-სამრეწველო კლასის პირებმა სამი (3) მან: ყველა დანარჩენი მოქალაქენი ერთი მანეთი და ნახევარი (1 მ. 50 კაპ.) სულიდან.

**შენიშვნა:** სამოქალაქო გადასახადი გადახდევინებულ იქნება ქართული ბონით სახ. საფინ. კომისარ. კურსით, რომელიც გადასახადის შეტანის დღისთვის არსებობს.

§ 3.

დაწესებული სამოქალაქო გადასახადი შეტანილ უნდა იქნნს ყველა კატეგორიების გადამხდელთა მიერ არა უგვიანეს 1922 წ. 31 დეკემბრისა.

**შენიშვნა:** 1) ოჯახის უფროსთა თანაბრად იხდიან სამოქალაქო გადასახადს ოჯახის დანარჩენი წევრებიც, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი წყარო შემოსავლისა და ოჯახის უფროსის ხარჯზე იმყოფებიან და დადგენილების ძალით გადასახადისაგან არ თავისუფლდებიან.

2) ოჯახის წევრებათ ითვლებიან ცოლი, ბავშვები და მშობლები (ორთავე მეუღლესი).

3) თუ გადასახადი არ იქნა გადახდილი 1923 წ. 15 იანვრამდი ზედმეტად გადახდევინებულ იქნება 25 პროც., ხოლო თუ არ იქნა გადახდილი 1923 წ. 31 იანვრამდეც, გადასახადი ორმაგათ იქნება გადახდევინებული.

4) იმ პირთ, რომელნიც გადასახადს 1923 წ. 31 იანვრამდი არ შეიტანენ გადასახადი ადმინისტრატიული წესით გადახდებათ.

§ 3.

გადასახადისაგან თავისუფლდებიან: ა) წითელ-არმიელები და მილიციონერები, რომელნიც ნამდვილი სამსახურში იმყოფებიან; ბ) სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლენი, თუ კი ისინი არ მსახურობენ; გ) ის პირნი, რომელნიც სოციალურ უზრუნველყოფით სარგებლობენ; დ) უმუშევრები, რომელნიც გატარებულნი არიან შრომის ბირჟაში სამოქალაქო გადასახადის დადგენილების გამოცემამდი, ე) დედაკაცები, რომელთაც თავის მზრუნველობაში ყავთ ერთი ან მეტი ბავში 17 წლის ჰასაკამდი და სხვა შრომის უნარს მოკლებული წევრები ოჯახისა, თუ კი ისინი დამოუკიდებლად სხვისდა დაუხმარებლად აწარმოებენ თავიანთ მეურნეობას; ვ) შინაური მეოჯახე ქალები, რომელნიც სამსახურს უწევენ ხუთ ან მეტ სულისაგან შემდგარ ოჯახს; ზ) ის პირნი, რომელთაც უკვე გადახდილი აქვთ სამოქალაქო გადასახადი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, შესაფერი კვიტანციების წარდგენის შემდეგ და თ) მუშები და მოსამსახურენი, რომელნიც იღებენ ხელფასს მე-9 ხარისხამდი ჩარიცხვით და რომელიც ს. პ. კ. ს. სატარიფო ნუსხით არის დამტკიცებული, რომელთაც თავიანთ ხარჯზე ყავთ სამ ბავშზე მეტი.

**შენიშვნა:** ოჯახის უფროსთან ერთად გადასახადისაგან განთავისუფლებულია ოჯახის ის წევრებიც, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი წყარო შემოსავლისა.

§ 5.

სამოქალაქო გადასახადის აკრება დაევალოს სამისამართო მაგიდას და მის ადგილობრივ ორგანოებს.

§ 6.

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს დაევალოს დაუყოვნებლივ მისცეს განკარგულება ქალაქის სამილიციო კომისარიატებისადმი, რათა ყოველგვარი დახმარება გაეწიოს სამისამართო მაგიდას და სპეციალურად მოწვეულ ამკრებლებს და კონტროლიორებს სამოქალაქო გადასახადის აკრებაში.

§ 7.

სახლების მეპატრონენი, კომენდანტები, მოიჯარადრენი, სახლების გამგენი და მცხოვრებთა კოლექტივები, რომელთა განკარგულებაშია სახლები, ვალდებული არიან ამ დადგენილების განცხადების ერთი კვირის ვადაში შეადგინონ ცალკე კატეგორიებათ შემდეგი სიები: სია № 1 იმ მუშა-მოსამსახურეთა, და მათი ოჯახის წევრთა, რომელთაც არ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი რომლებიც იღებენ ხელფასს სატარიფო ნუსხის მე-9 ხარისხამდი ამ უკანასკნელის ჩარიცხვით, სია № 2 იმ მუშა-მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა, რომელნიც სამსახურში არ იმყოფებიან, რომელნიც იღებენ ხელფასს მე-9 ხარისხს ზევით სატარიფო ნუსხისა, სია № 3—ვაჭარ-მრეწველთა კლასის პირთა და მათი ოჯახის წევრთა, სია № 4—ყველა დანარჩენ სამოქალაქო გადასახადის გადახდის ვალდებულთა, № 5—ყველა მათი, რომელნიც თანახმად ამ დადგენილების § 4-ისა განთავისუფლებულნი არიან სამოქალაქო გადასახადის გადახდისაგან. ის პირნი, ვის განკარგულებაშიც არის სახლი, ვალდებულნი არიან მობინადრეთაგან აკრიფონ მათგან ხვედრი გადასახადი და შეკრებილი თანხა ზემოაღნიშნულ სიებთან ერთად და ამ სიებში აღნიშნულ პირთა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინონ ქვემდებარე სამილიციო კომისარიატში სამისამართო მაგიდის წარმომადგენელთან.

**შენიშვნა:** მუშები და მოსამსახურენი ადგენენ მოწმობებს შესაფერ პროფორგანიზაციებისგან, წითელ არმიელები, მილიციონერები და მოსწავლენი ადგენენ მოწმობებს თავიანთ დაწესებულებებიდან.

§ 8

დაევალოს აღმასკომის სამისამართო მაგიდას დააკრას გადამხდელის საპირადო მოწმობებზე შესაფერი მარკები სამოქალაქო გადასახადისა და აღინიშნონ საბინაო დავთრებში ბეჭდით, რომ გადამხდელმა გადაიხადა გადასახადი.

§ 9

დაევალოს სამისამართო მაგიდასვე აღნიშნოს განსაკუთრებული ბეჭდით საბინაო დავთრებში, რომ ესა თუ ის პირი სამოქალაქო გადასახადიდან განთავისუფლებულია, თუ კი ის დადგენილების თანახმად გადასახადისაგან თავისუფლდება.

§ 10

სამისამართო მაგიდამ ყოველდღიურად უნდა შეიტანოს აღმასკომის სალაროში შეგროვილი თანხა სამოქალაქო გადასახადისა.

§ 11

სახლის მეპატრონენი, კომენდანტები, გამგენი, მოიჯარადრენი და მობინადრეთა კოლექტივები, რომელთა განკარგულებაში არის სახლები, თუ კი აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ სიებს შესაფერისი დოკუმენტებით და აკრებილი თანხით, ან წარმოადგენენ სინამდვილის შეუფერებელ ცნობებს, იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ამას გარდა გადახდებათ ჯარიმა არა უმეტეს ასი მანეთისა ოქროთი, ყოველ ცალკე შემთხვევაში კომისიის დადგენილების მიხედვით.

**შენიშვნა:** თუ მობინადრე უარს განაცხადებს სამოქალაქო გადასახადის გადახდაზე, ან თუ აღნიშნულ ვადაში არ შეიტანს მას, მაშინ ის პირი, რომლის განკარგულებაშიც არის სახლი, ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს შესაფერი უბნის სამისამართო მაგიდის წარმომადგენელს.

§ 12.

დადგენილება ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

ტფილ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე: **ლ. დუმბაძე.**

231 1—1 ქალ. აღმასკომის მდივანი: **ხუნდაძე.**

ტირაჟი 1.000

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.